ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №3

ქ. ლანჩხუთი

24.06.2025 წელი

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: ია მოქია, სპარტაკ კვაჭაძე, ვლადიმერ ნანაძე, გიორგი გოგუაძე ჯუმბერ ბლაგიძე, ვერიკო კვირკველია და გიორგი ჩახვაძე.

მოწვეული პირები: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია.** მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი **შოთა ჩაგუნავა**

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

3. სხვადასხვა საკითხები.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-8, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვის შესახებ.

განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო **როლანდ ლაშხიამ** მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2024 წლის N1955 განკარგულებით მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონებში

განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ჯურუყვეთის ცენტრალური გზისა და ლესის გზის (პროექტის ღირებულება 1973596 ლარი) რეაბილიტაციაზე დამატებით გამოიყო 34595 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან უნდა მიიმართოს 1821 ლარი, სულ 36416 ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხის მიმართვა განხორციელდება არაფინანსური აქტივების კლებიდან (გაყიდვა) მისაღები შემოსავლის გეგმის 1821 ლარის ზრდის ხარჯზე.

საქართველოს მთავრობის მიმდინარე 13 მაისის N783 განკარგულების საფუძველზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულების დანართით გათვალისწინებულ მუნიციპალიტეტეტებზე გადაცემული თანხების ფარგლებში დარჩენილი ეკონომია 135161 ლარი მიიმართოს (ორგ.კოდი 010205) სოფელ ორაგვეში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაზე. პროექტზე ადგილობრივ ბიუჯეტიდან დამატებით უნდა მიიმართოს 155980 ლარი სულ 291141 ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტიდან ზემოთ აღნიშნულ პროექტზე თანხის მიმართვა განხორციელდეს ქ.ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში აგრარული ბაზრის, ავტოსალაროს და ბავშვთა გასართობი სკვერის მოწყობის სამუშაოების 100000 ლარით და მინი სტადიონების მშენებლობის დაფინანსების 55980 ლარით შემცირების ხარჯზე.

კომისიის წევრი გიორგი გოგუაძე დაინტერესდა აღნიშნულ ცვლილებაში იყო თუ არა გამოყოფილი სოფელ გაგურის მიმართულებით გზის რეაბილიტაციის დასრულებაზე თანხა, ასევე სოფელ ორაგვეში ტურისტულ ლოკაციის დასრულებაზე.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.

მომხრე-8, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვის შესახებ. განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო **შოთა ჩაგუნავამ** მისი განმარტებით, წინამდებარე საგანგებო მართვის გეგმა არის წინასწარი დაგეგმვის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს საგანგებო სიტუაციების მართვის ძირითადი ფაზების (საგანგებო სიტუაციის პრევენცია, საგანგებო სიტუაციისთვის მზადყოფნა, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირება და საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების ჩატარება) მიხედვით მუნიციპალიტეტის ორგანოს, მისი სამსახურების და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებადი ორგანიზაციების უფლებების განხორციელებისა და მოვალეობების შესრულების უზრუნველყოფას, მატერიალური რესურსებისა და ადამიანური რესურსების განსაზღვრასა და მართვას. შესაბამისად, მასში დეტალურადაა განსაზღვრული სხვადასხვა ორგანოების ინსტიტუციური ვალდებულებები, მათი რესურსები და ყველა ჩართული მხარის ოპერატიული მოქმედებები მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციების დამაზიანებელი ზემოქმედებისაგან მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაცვის მიზნით.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა წინადადება მოხდეს საკითხის კარგად შესწავლის მიზნით შეხვედრის ორგანიზება რაზეც შოთა ჩაგუნავამ მზაობა გამოთქვა და მიესალმა კომისიის წევრების წინადადებას.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.

მომხრე-8, წინააღმდეგი-არცერთი.

სხვადასხვა : კომისიის წევრმა ჯუმბერ ბლაგიძემ დააყენა უშვილო წყვილების გამრავლების ხელშეწყობის პროგრამის დამატების აუცილებლობის საკითხი, მან აღნიშნა რო ძალიან დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული მათი პრობლემა, იქნებ მოხდეს კვლევების ან მედიკამენტების თანადაფინანსების გზების პოვნა.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე მახათაძე

ქ. ლანჩხუთი

24.06.2025 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №3

2025 წლის 24 ივნისს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

3. სხვადასხვა საკითხები.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

1: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვის შესახებ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

2 „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვის შესახებ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება პროექტის დამტკიცებამდე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მოხდეს სამუშაო შეხვედრა.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე : ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

24.06.2025 წელი
14:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	14 00	
2	ია მოქია	14 00	
3	გიორგი ჩახვაძე	14 00	
4	სპარტაკ კვაჭაძე	14 00	
5	კახა თედორაძე		
6	ვლადიმერ ნანაძე	14 00	
7	გიორგი გოგუაძე	14 00	
8	ვერიკო კვირკველია	14 00	
9	ჯუმბერ ბლაგიძე	14 00	